საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

№ 106/1

1 ოქტომბერი, 2013 წელი

საქართველოს კანონის პროექტი „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07-3/257; 20.09.2013)

(ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას)

დასახელება

საქ. პარლამენტის წევრი თ. ავდალიანი	საქ. პარლამენტის წევრი თ. ავდალიანი
ინიციატორი	*ავტორი*

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

20. 09. 2013.	წამყვან კომიტეტზე - 01.10 - 04.10	01.10 – 04.10
შემოსვლის თარიღი	*საკომიტეტო მოსმენის საფარაუდო თარიღი*	*პლენარულ სხდომაზე განხილვის საფარაუდო თარიღი*

კომიტეტები, რომელთა დასკვნა საჭიროებულია

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის პირველი მოადგილე — მანანა კობახიძე

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№106/9

2013 წელი, 1 ოქტომბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1.საქართველოს პარლამენტის წევრის თამაზ ავდალიანის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის თამაზ ავდალიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-3/257; 20.09.2013) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი - მეორე და მესამე - მოსმენით.

3.საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 1 ოქტომბრის №106/1 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის პირველი მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — მანანა კობახიძე